საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის 2013 წლის ანგარიში

საფინანსო ანალიტიკური სამსახური

თბილისი, 2013 წ. 31 დეკემბერი

საფინანსო ანალიტიკური სამსახური

სარჩევი

1. შესავალი 3
2. საჯარო ფინანსების მართვის სისტემა (PFMS) 5
3. საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა - eDocument 11
4. პორტალები, ვებგვერდები 11
5. ინფორმაციული უსაფრთხოება 16
6. ადამიანური რესურსების განვითარება 17
7. ინფრასტრუქტურის განვითარება და მხარდაჭერა 20
8. საზოგადოებასთან ურთიერთობა 21
9. სამომავლო გეგმები 22

1. შესავალი

საქართველოს *ფინანსთა სამინისტროს*[1] *სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური*[2] (შემდგომში - სამსახური) აგრძელებდა თავისი მთავარი ფუნქციის შესრულებას - ქვეყნის საფინანსო სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირების და მისი მდგრადობის უზრუნველყოფას, საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული სისტემის გაძღოლას და შემდგომ განვითარებას[3]. ამასთან ერთად, მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა საქმისწარმოების (დოკუმენტბრუნვის მენეჯმენტის[4]) ავტომატიზებული სისტემის, ადამიანური[5] და ბუნებრივი რესურსების მართვის და სხვა პროგრამული სისტემების შემდგომ სრულყოფაზე. ვითარდებოდა სამინისტროს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და შესაბამისი ICT[6]-ინფრასტრუქტურა. ხორციელდებოდა ახალი ელექტრონული სერვისების დაპროექტება, ტესტირება და იმპლემენტაცია; ამით ვითარდებოდა ე.წ. „ელექტრონული მმართველობის[7]“ კომპონენტები. ეს საქმიანობა ხელს უწყობს ქვეყნის საფინანსო სისტემის მოდერნიზებას, აგრეთვე, ზოგადად გამჭვირვალე და ეფექტიანი მმართველობის[8] განვითარებას.

2013 წელს სამსახურის ხელმძღვანელობა მუდმივ ყურადღებას აქცევდა ადამიანური რესურსების განვითარებას, მომუშავე კადრებისათვის კვალიფიკაციის პერმანენტული ამაღლების პრაქტიკის დანერგვას, მათი კარიერული ზრდის შესაძლებლობების შესწავლას, დამსახურებულ დაწინაურებას, ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვას და სტაჟირების ინსტიტუტის დამკვიდრებას. ტრანსპარენტულად და სამართლიანად ჩატარდა კონკურსები, სადაც სამსახურის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გამოცხადებულ[9] 81 ვაკანსიაზე მონაწილეობა მიიღო 3994 პრეტენდენტმა. *ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან*[10] ერთად ჩატარდა მეთოდოლოგიურად გამართული ტრენინგების საჭიროებათა ანალიზი; მომზადდა სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კონსოლიდირებული ორწლიანი გეგმა; სამსახურისა და აკადემიის ხელმძღვანელობამ თანამედროვე მეთოდურ-პრაქტიკული მიდგომების გამოყენებით შეიმუშავა 2013 წელს განსახორციელებელი დეტალიზებული სასწავლო პროგრამა; უკვე ჩატარდა ტრენინგების პირველი ციკლიც.

---

[1] http://www.mof.ge/
[2] http://www.fas.ge/
[3] http://www.fas.ge/Mission , http://www.fas.ge/Strategy
[4] Document Flow, Document Management, Task Management systems
[5] Human Resources Management system
[6] Information and Communication Technologies
[7] Electronic Governance - E-Governance
[8] http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=794&lang_id=GEO
[9] საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-პორტალს www.hr.gov.ge მეშვეობით
[10] http://mofacademy.ge/

წლის განმავლობაში სამსახურის ხელმძღვანელობამ მიიღო აქტიური მონაწილეობა საქართველოში ელ.-მთავრობისა (E-Government[11]) და ელ.-მმართველობის (E-Governance[12]) განვითარებისადმი მიძღვნილ რამოდენიმე გაცნობით ვიზიტში, პრეზენტაციაში, ტრენინგში, სემინარში თუ სამუშაო შეხვედრაში, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ ევროკომისიის პროგრამა EU Twinning Project "Strengthening e-Governance in Georgia"[13], ევროკავშირის პროგრამა "ელექტრონული მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში", „ღია საზოგადოება - საქართველო"[14] და მსოფლიო ბანკის ჯგუფი[15] / საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია[16] და სხვ.

გამყარდა პროფესიული კავშირები და გარკვეულწილად გაძლიერდა კოორდინირებული საქმიანობა ICT-სფეროში *იუსტიციის, შსს და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებთან* და მათ დანაყოფებთან. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ებთან თანამშრომლობა: *მონაცემთა გაცვლის სააგენტო*[17], *სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო*[18] და *იუსტიციის სახლის სააგენტო*[19].

სამსახურის ხელმძღვანელობა აქტიურად იყო ჩართული იუსტიციის სამინისტროს უწყებებთან ერთად ახალი სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტის „eGeorgia - e-Government Strategy and Roadmap for Georgia" შემუშავებაში; ევროკავშირის დახმარებით შექმნილი ეს დოკუმენტი წარმოადგენს უახლოეს წლებში საქართველოში ელექტრონული მთავრობის შექმნის სახელმწიფო სტრატეგიას.

ასევე 2013 წელს ინტენსიფიცირდა სამსახურის საერთაშორისო კავშირები, დამყარდა ახალი კონტაქტები საქართველოში წარმოდგენილი დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. განსაკუთრებით სასარგებლო და პოზიტიური ხასითის იყო პროფესიული თანამშრომლობა, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა ქვეყნების (მაგ. ავსტრიის, დანიის, გერმანიის, თურქეთის, უკრაინის, მოლდოვის, ტაჯიკეთის) „ანალოგიური" სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან.

---

[11] http://en.wikipedia.org/wiki/E-Government
[12] http://en.wikipedia.org/wiki/E-Governance
[13] http://eeas.europa.eu/delegations/georgia/projects/list_of_projects/308284_en.htm , https://www.facebook.com/pages/EU-Twinning-for-Strengthening-of-e-Governance-in-Georgia/500332220025519?ref=hl
[14] http://www.osgf.ge/
[15] http://www.worldbank.org/
[16] The World Bank Group / IFC http://www.ifc.org/wps/wcm/connect/corp_ext_content/ifc_external_corporate_site/home
[17] http://dea.gov.ge/
[18] http://psda.gov.ge/
[19] http://psh.gov.ge/

2. საჯარო ფინანსების მართვის სისტემა (PFMS)

საფინანსო-ანალიტიკური სამსახური ორიენტირებულია **საკუთარი რესურსებით საინფორმაციო სისტემების შემუშავებასა და განვითარებაზე (ე.წ. In-House Development).** ამრიგად, მნიშვნელოვანია მჭიდრო ურთიერთობა საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურსა და პარტნიორ ორგანიზაციებს (პირველ რიგში, ფინანსთა სამინისტროს დანაყოფებთან - *სახელმწიფო ხაზინასთან, საბიუჯეტო დეპარტამენტთან, სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან, შემოსავლების სამსახურთან, მომსახურების სააგენტოსთან, აკადემიასთან* და სხვ.) შორის, რადგან მათი უშუალო მონაწილეობით ხორციელდება ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის (PFM[20]) რეფორმა, მ.შ. ამ რეფორმის ახალი მიმართულებების მოთხოვნების ჩამოყალიბება, ტექნიკური დავალებების დოკუმენტაციის შემუშავება, არსებული თუ ახალი საინფორმაციო სისტემების განვითარების სამომავლო გეგმების დასახვა, მათი წარმატებული იმპლემენტაცია.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული სისტემა (eBudget)[21]

განხორციელდა ცვლილებები **სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების პორტალში**; პორტალს შესაბამისად დაემატა:

- გაგზავნილი ფაილების ნაერთზე ავტომატური მიბმის ფუნქცია;
- ხაზინის ან ბიუჯეტის სისტემებიდან იმპორტირებული მონაცემების რედაქტირების შესაძლებლობა.

ასევე, დაინერგა იურიდიული პირების ძიების მექანიზმი და მომზადდა ნაერთი ანგარიშგების დოკუმენტი (იურიდიული პირების მიხედვით დაჯგუფებული შემოსავლების, გადასახდელების, ბალანსების და მომუშავეთა რაოდენობრივი დანართები).

შეიქმნა და მხარჯავი დაწესებულებებისა და ბიუჯეტის ადმინისტრირების პორტალებში ინტეგრირებულ იქნა მიზნობრივი გრანტის ხელშეკრულებების ანგარიშგების დოკუმენტი. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ყოველწლიურ კანონში ცვლილების საფუძველზე, მომზადდა მომუშავეთა რაოდენობის ცვლილების ცნობების შექმნის მექანიზმი. შემუშავდა და განხორციელდა ბიუჯეტის სისტემის რეფაქტორინგის[22], რედიზაინისა და პროცესუალური ოპტიმიზაციის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგ პუნქტებს:

- ბაზების სტრუქტურის ოპტიმიზაცია;
- პროექტის დაგეგმვა;

[20] Public Finance Management
[21] https://www.ebudget.ge/ , http://www.fas.ge/Done
[22] რეფაქტორინგი - პროგრამული კოდის სტრუქტურის ცვლილება ელექტრონული სისტემის ფუნქციონალური გამართულობის სრულყოფის მიზნით (http://en.wikipedia.org/wiki/Refactoring)

- კლასიფიკატორების შექმნის მექანიზმი ადმინისტრირების პორტალში;
- სხვადასხვა პერიოდის კლასიფიკატორების დაკავშირების მექანიზმი ადმინისტრირების პორტალში;
- პროგრამის ზემოთ ჩამოთვლილი ნაწილების ფუნქციონალური სრულყოფა და ინტერფეისების დახვეწა;
- ადმინისტირირების პორტალში დაფინანსების წყაროების დინამიზირება;
- ადმინისტირირების პორტალში წლების დინამიზირება;
- ანგარიშგების დოკუმენტების შექმნის ავტომატიზება.

საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS[23]) განვითარების ფარგლებში არსებულ სისტემებს შორის, დონორების სინქრონიზაციის მიზნით განხორციელდა საინტეგრაციო სამუშაოები, რომელთა საფუძველზე სამივე სისტემა (eBudget, eTreasury[24], eDMS[25]) გადავიდა დონორების საერთო კლასიფიკაციაზე.

სისტემის მიმდინარე ვერსიისთვის დასრულებულია მომუშავეთა რიცხოვნობის ცვლილების ცნობის შექმნის, ვალიდაციისა და დამტკიცების ფუნქციონალი. ასევე დასრულებულია კალათების ფუნქციონალი, რომელიც მოიცავს ცვლილების ცნობების შექმნას ბიუჯეტის ოთხივე პორტალში, ბიუჯეტის პორტალების ცნობებისა და კანონში ცვლილების ჯაჭვების თავმოყრას კალათაში, კალათის ვალიდაციას, ანგარიშგებას და დამტკიცებას.

წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სისტემის რეფაქტორინგი, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა სისტემის ახალი ვერსია გაუმჯობესებული ფუნქციონალით. რეფაქტორინგის პროცესის ფარგლებში დასრულებულია და ტესტირების რეჟიმშია სისტემის შემდეგი კომპონენტები:

- პერიოდების, კლასიფიკატორების მართვის, კლასიფიკატორების კონსტრუქტორის ფუნქციონალი;
- წლების და დაფინანსების წყაროების დინამიზირების ფუნქციონალი;
- ნორმატიული აქტების მართვის ფუნქციონალი;
- ფაილების მართვის ფუნქციონალი ბიუჯეტის პორტალებში;
- ხარჯთაღრიცხვის ცვლილების, მიზნობრივი გრანტების ცვლილების, სტრუქტურული ცვლილების, შემოსავლების ცვლილების, ნაშთების ცვლილების, კანონში ცვლილების ჯაჭვების მართვის ფუნქციონალი;
- დინამიური ანგარიშგებების, ფორმულით მართვადი ანგარიშგებების, ბიუჯეტის თავების შექმნის და განთავსების ფუნქციონალი;
- მრავალენოვანი მხარდაჭერა.

[23] Public Finance Management System
[24] https://www.etreasury.ge/
[25] https://www.edms.ge/app/

სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა (eTreasury)

სისტემის ფარგლებში სამუშაო რეჟიმში გაეშვა ბუღალტრული პროცესების ავტომატიზაციის პროექტის პირველი ვერსია და შეიქმნა ბუღალტრული საკონტროლო ანგარიშები, რომელიც წარმოადგენს ავტომატური ტრანზაქციების სისწორის გადამოწმების ბერკეტს.

გაუმჯობესდა მიზნობრივი გრანტის მოდული საბანკო მოდულთან თავსებადობის კუთხით. სავალუტო მოთხოვნების ფარგლებში სისტემას დაემატა შაბლონები, რომლებიც იძლევიან ახალი სავალუტო მოთხოვნების რეგისტრაციის განხორციელების საშუალებას. განხორციელდა ეროვნული ბანკის საკონვერტაციო დავალებების მიმდინარეობის ცვლილებების სისტემაში ასახვა, რის შედეგადაც, ახალი კურსის გამოქვეყნების მომენტში, ხდება სისტემაში არსებული საკონვერტაციო დავალებების თანხის გადათვლა.

სისტემას დაემატა საგადახდო დავალებათა პაკეტის ჩამოყალიბების ახალი ფუნქციონალი, რის საშუალებითაც შესაძლებელია სტიპენდიების, სოციალური დახმარებების და სასკოლო ვაუჩერების პროცესირება.

შეიქმნა ახალი მოდული - ინკასოების/სააღსრულებლო დოკუმენტების დასარეგისტრირებლად. მოდული ინტეგრირებულია ხაზინის საოპერაციო პროცესში. ასევე შეიქმნა სხვა ახალი მოდული - არასატენდერო ხელშეკრულების სინქრონიზატორი. მოდული ინტეგრირებულია ხაზინის ხელშეკრულების სისტემაში.

დამატებით, შეიქმნა ახალი ანგრიშგებები - მოდიფიცირებული ფორმა #1, განმკარგავის მიხედვით პროგრამულ კოდებზე ხაზინის კლიენტის მხარეს განხორციელებული ოპერაციების რაოდენობრივი ინფორმაცია, დაუმოწმებელი ავანსების რეპორტი, დაუმოწმებელი ავანსების რეპორტი სამუშაო პერიოდისა და განმკარგავის მიხედვით და სხვა.

სისტემას დაემატა სავალუტო დავალებების ძიების ფუქნციონალი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია დავალებების სასურველი პარამეტრებით გაფილტვრა.

შეიქმნა ძირითადი პროცესების (ხელშეკრულების, ვალდებულების, მოთხოვნის, ხელფასებისა და ბუღალტერიის მოდულის) რეგრესტესტები[26], რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია სისტემის ავტომატური ტესტირება.

ჩატარდა სისტემის რეფაქტორინგი და შემდეგი პროცესების ავტომატიზაცია:

- ანგარიშგებების მიგრაცია ახალ რეპორტსერვერზე;

[26] http://en.wikipedia.org/wiki/Regression_testing

- ბუღალტრული მთავარი წიგნის ასახვისთვის საჭირო პროცედურების ოპტიმიზაცია/გადაწერა წარმადობის გაზრდის მიზნით;
- შემოსავლების იმპორტის რეფაქტორინგი და მასში ავტომატური მობრუნების ბლოკის ოპტიმიზაცია;
- მრავალენოვანი მხარდაჭერა.

სისტემის ფარგლებში შემუშავებულია *გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდის შემოღების რეფორმის* სრული ტექნიკური გადაწყვეტა. ამ პროგრამული ცვლილებების რეალურ გარემოში განთავსება მოხდება რეფორმის კანონიერ ძალაში შესვლისთანავე.

სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა (eDMS)

სამუშაო რეჟიმში გაეშვა და დაიხვეწა ემისიის გეგმების ნაწილი, რომლის ფარგლებშიც წარმოებს წლის განმავლობაში ჩასატარებელი აუქციონების აღრიცხვა და მართვა. ცვლილებები შევიდა მიზნობრივი გრანტის ნაწილში. ცვლილებების შედეგად, გაუქმდა მიზნობრივი გრანტის დამოკიდებულება სამუშაო პერიოდზე. შესაბამისად, მოიხსნა ყოველი წლის დასაწყისში მონაცემების განახლების აუცილებლობა.

შემუშავდა დონორების სინქრონიზაციის სერვისი, რომლის მეშვეობითაც სისტემიდან მოხდება დონორებზე მონაცემების გაგზავნა საბიუჯეტო და ხაზინის ელექტრონულ სისტემებში. შემუშავდა საბიუჯეტო ცნობების მოდული, რომლითაც მოხდება ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა.

მიმდინარეობს საგარეო დაფინანსების პროექტების ჩანაწერებში მონაცემების იმპორტი. ამ მომენტისთვის, სისტემაში ინტეგრირებულია ჩამორიცხვები და გადახდები ყველა აქტიურ პროექტზე. მიმდინარეობს შევსებული მონაცემების შემოწმება და აღმოჩენილი შეცდომების გასწორება.

შემუშავდა ახალი ფუნქციონალი, რომელიც ავტომატურად აუქციონის დამატებისას ახდენს ISIN[27] ნომრის გამოთვლას. საშინაო ვალის მოდულში განხორციელდა ვადიანობების რეფაქტორინგი, რომლის შედეგად მოხდა ვადიანობების, რეპორტების და ემისიის გეგმების დინამიზირება.

საშინაო ვალის ფარგლებში მოხდა ინფორმაციის მიმოცვლის ავტომატიზება სახელმწიფო ხაზინასთან. კერძოდ, შემუშავდა და რეალურ გარემოში გაიშვა ელექტრონული სერვისი, რომლის მეშვეობით ავტომატურად წარმოებს საგადახდო მოთხოვნის გენერირება სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში.

[27] International Securities Identification Number (ISIN) - ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ფ ა ს ი ა ნ ი ქ ა ღ ა ლ დ ე ბ ი ს უ ნ ი კ ა ლ ური ს ა ი დ ე ნ ტ ი ფ ი კ ა ც ი ო ნ ომ ე რ ი (http://en.wikipedia.org/wiki/International_Securities_Identification_Number)

შემუშავდა შემდეგი ავტომატური შეტყობინებები:

- შეტყობინება ჩატარებული აუქციონის შედეგების შესახებ;
- შეტყობინება მოახლოებული გადახდის შესახებ.

საგარეო დაფინანსების საინვესტიციო პროექტებს დაემატა სექტორის კლასიფიკატორის მითითების საშუალება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია განისაზღვროს რა სექტორს მოხმარდება პროექტის თანხები. ფინანსურ პარამეტრებს დაემატა მონაცემების კოპირების ფუნქციონალი.

სისტემაში შემუშავდა შემდეგი ახალი რეპორტები:

- ინფორმაცია სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების გამოშვება/დაფარვის შესახებ;
- საშინაო ვალის ნაშთები ვებგვერდისთვის;
- ჩამორიცხების რეპორტი (სრული ფილტრით);
- ჩამორიცხვები სრული ფილტრით (მულტისავალუტო);
- ჩამორიცხვები თვეების მიხედვით;
- ჩამორიცხვები კვარტლების მიხედვით;
- გადახდები სრული ფილტრით;
- გადახდების განრიგი სრული ფილტრით;
- გადახდები კვარტლების მიხედვით.

ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა (eHRMS)[28]

დასრულდა მუშაობა არსებული ვერსიის სტაბილიზირებასა და მასში ცვლილებების შეტანაზე. ამჟამად, სისტემა სრულად მოიცავს *თანამშრომლის, სტრუქტურის, ანგარიშგების, მივლინებისა და ადმინისტრატორის მოდულებს.*

განხორციელდა სისტემის ინტეგრაცია *მომხმარებლების და უფლებების ერთიან ელექტრონულ სისტემასთან (ePassport[29])*, რაც განაპირობებს მონაცემების უსაფრთხოებას და თითოეული მომხმარებლისთვის სასურველი უფლებების მინიჭებას.

სისტემაში განხორციელდა მივლინების მოდულის სრულად რეალიზება. თითოეულ მომხმარებელს საშუალება აქვს იმუშაოს მივლინების ბრძანებების მოდულზე და ასახოს სასურველი მონაცემები თანამშრომლების შესახებ.

დანიშვნის ფუნქციონალში შეტანილია ლოგიკური ცვლილებები კანონმდებლობის შესაბამისად. სტრუქტურის ჩანართში განხორციელდა ახალი ოპერაციის დამატება და არსებული ოპერაციების

[28] https://www.ehrms.ge/#/Login_View
[29] http://epassport.mof.ge/

გამარტივება. ახალი კოპირების ოპერაცია მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს რეორგანიზაციულ საკითხებთან მიმართებაში მარტივად განახორციელოს ახალი სტრუქტურის და შესაბამისი საშტატო ერთეულების შექმნა არსებული ქვედანაყოფის მონაცემების გამოყენებით.

სისტემაში განხორციელდა ახალი ანგარიშგებების დამატება სტატიკური ანგარიშგების ჩანართზე. ამჟამად, სისტემაში გენერირდება 30 სხვადასხვა მონაცემზე დამოკიდებული ანგარიში.

განახლდა კლასიფიკატორთა სიმრავლე - სხვადასხვა მოდულზე კლასიფიკატორთა სიმრავლე გადამოწმდა და, საჭიროებიდან გამომდინარე, შევიდა ცვლილებები.

დიზაინსა და არსებულ ფუნქციონალში განხორციელდა ცვლილებები, რომელიც შეეხო თანამშრომლის პირადი ბარათის ყველა ჩანართს, თანამშრომლების რეესტრს, პირადი ბარათის ექპორტირებას, შეტყობინებების ფუნქციონალს, ფერად ინდიკაციასა და ფილტრებს.

მიმდინარეობს მუშაობა სტატისტიკური მონაცემების გენერირების და ანგარიშგებების ხარვეზების გასწორებაზე.

სისტემა დაინერა *სსიპ შემოსავლების სამსახურის* ცენტრალურ აპარატში[30]. დასანერგ სისტემაში განხორციელდა კადრების შესახებ მონაცემთა მიგრაცია *შემოსავლების სამსახურის* ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ძველი ვერსიიდან. დამატებით, შესრულდა ტექნიკური სამუშაოები სისტემის ძველი ვერსიის გათიშვის უზრუნველსაყოფად.

მიმდინარე წელს სისტემა დაინერგა *სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში - საქსტატში*[31]. ჩატარდა ტრენინგი და დანერგვისთვის საჭირო პროცედურების ანალიზი.

განხორციელდა *ფინანსთა სამინისტროს* ცენტრალური აპარატის, *სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის, სახელმწიფო ხაზინისა* და *მომსახურების სააგენტოს*[32] კადრების გადამზადება eHRMS სისტემის მოხმარებაში.

მიმდინარეობს *სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში*[33] *სისტემის* დანერგვისთვის საჭირო პროცედურების დაგეგმვა და მომზადება.

სისტემის პრეზენტაციები გაიმართა შემდეგ სახელმწიფო დაწესებულებებში: *საქართველოს პარლამენტი*[34], *რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო*[35], *კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტროს*

[30] http://rs.ge/
[31] http://www.geostat.ge/
[32] http://www.seragency.gov.ge/
[33] http://mofacademy.ge/
[34] http://parliament.ge/
[35] http://mrdi.gov.ge/

აპარატი[36], აჭარის ა.რ.-ის მთავრობა[37], უზენაესი საბჭო და სხვა სახელმწიფო უწყებები[38], თავდაცვის სამინისტრო[39], ქუთაისის მერია[40], საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო[41] და სხვა.

3. საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა - eDocument[42]

2013 წლის აგვისტოში გაეშვა საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის eDocument-ის ძირეულად განახლებული ვერსია. ცვლილებები შეეხო მომხმარებლის და კანცელარიის მოდულებს, დაიხვეწა და გაფართოვდა ძებნის ფუნქცია. სისტემას დაემატა მოვლენებისა და სიახლეების ფუნქციონალი, გაუმჯობესდა და გამარტივდა ძირითადი ოპერაციების შესრულება.

დანერგვასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა 14 ახალ ორგანიზაციასთან. მომზადდა სისტემის განახლებული ვერსიის საინსტალაციო პლატფორმა. დაიგეგმა, დროში გაიწერა და დაიწყო 5 ახალ ორგანიზაციაში სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული ტექნიკური და ადმინისტრაციული სამუშაოები.

4. პორტალები, ვებგვერდები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდების მართვის სისტემის მოდერნიზება

შემუშავდა ვებგვერდების მართვის განახლებული სისტემა, დაემატა ახალი და განახლდა არსებული მოდულები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ელექტრონული სერვისების პორტალი

https://go.mof.ge/

შემუშავდა პორტალი რომლის საშუალებით, ერთი ცენტრალური საავტორიზაციო წერტილიდან მომხმარებელს შეუძლია მიიღოს წვდომა ფინანსთა სამინისტროს სხვადასხვა სისტემებზე. პორტალზე ავტორიზაციისთვის გამოიყენება დიჯიპასი, ელექტრონული პირადობის მოწმობა ან

[36] http://diaspora.gov.ge/
[37] http://ajara.gov.ge/geo/
[38] http://www.mofea.ge/ , http://www.molhs.gov.ge/ , http://www.moa.ge/ge/ , http://www.moecs.ge/
[39] http://www.mod.gov.ge/
[40] http://www.kutaisi.gov.ge/
[41] http://www.gcaa.ge/geo/
[42] http://www.fas.ge/eDocument , http://www.fas.ge/Done

ფინანსთა სამინისტროს კორპორატიული ბარათი. დაშვების დონის მიხედვით მომხმარებელს მიეწოდება შესაბამისი სისტემების ჩამონათვალი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინის პორტალი

შემუშავდა პორტალი *სახელმწიფო ხაზინის* სტატისტიკური მონაცემების შენახვისა და გავრცელებისთვის https://portal.treasury.ge/.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ახალი ვებგვერდი - www.treasury.ge

შეიქმნა *ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის* ვებგვერდის ახალი ვერსია, რის შედეგადაც გვერდის მართვა გახდა უფრო მოსახერხებელი და გაიზარდა გვერდის დაცულობის ხარისხი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურის ალტერნატიულ აუდიტში ჩართვის მსურველი კანდიდატებისათვის რეგისტრაციის და ტესტირების შედეგების აღრიცხვის ვებაპლიკაცია -

http://www.mofacademy.ge/internship

ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან ერთად შეიქმნა ალტერნატიულ აუდიტში ჩართვის მსურველი კანდიდატებისათვის რეგისტრაციის და ტესტირების შედეგების აღრიცხვის ვებაპლიკაცია, რომლის მეშვეობით რეგისტრირებული კანდიდატები მიიღებენ ინფორმაციას ტესტირების ჩატარებისა და შედეგების შესახებ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსისთვის რეგისტრაციის ვებაპლიკაცია -

http://www.is.ge/RegistrationInternship

აპლიკაციის მეშვეობით მიმდინარეობს სტაჟირების მსურველთა ონლაინ-რეგისტრაცია, მათი შემდგომი ინფორმირება ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების შესახებ.

„გაიცანი საქართველოს ფინანსთა სამინისტრო“ - http://mofacademy.ge/4423

ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან ერთად შეიქმნა ინოვაციური პროექტი, რომელიც ყველა დაინტერესებულ პირს აძლევს საშუალებას ესტუმროს და გაეცნოს ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის ყველა მიმართულებას. პროგრამული მოდულის მეშვეობით, დაინტერესებული პირები ფინანსთა სამინისიტროს აკადემიის ვებგვერდიდან შეძლებენ აირჩიონ საკითხების ჩამონათვალი მათთვის საინტერესო მიმართულების მიხედვით და დაარეგისტრირონ მსმენელთა ჯგუფი.

სათათბირო და სხვა კოლეგიალური ორგანოების ანგარიშგების სისტემა

(AOCB Reporting System) - http://aocb

სისტემა უზრუნველყოფს ფინანსთა სამინისტროს ფარგლებში კოლეგიალური საბჭოსა და სხვა სამუშაო ჯგუფების სხდომების ანგარიშების შესახებ ინფორაციის თავმოყრას ერთ სივრცეში, ანგარიშების განთავსებას და სისტემაში განთავსებული ანგარიშების შექმნის დროს ავტომატური შეტყობინებების გაგზავნას პასუხისმგებელ პირებთან.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს ვებგვერდი - www.taxdisputes.gov.ge

შემუშავდა ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს სრულიად ახალი ვებგვერდი და საბჭოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნების მოდული, სადაც მიღებული გადაწყვეტილებები გამოქვეყნდება დავის სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გარეშე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ახალი ვებგვერდი - http://is.ge/

შემუშავდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ახალი ვებგვერდი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ტესტირების სისტემა - testing.rs.ge

შემოსავლების სამსახურში დაინერგა ტესტირების სისტემა testing.rs.ge, რომლის მეშვეობით შემოსავლების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო ელექტრონული ტესტირებით შეაფასებს კონკურსებსა და სტაჟირების პროგრამების გავლის მსურველებს.

ავტოტექმომსახურების ხარჯების აღრიცხვისა და კონტროლის სისტემა

(VIMS –Vehicle Inventory Management System) - http://vims/default.aspx

2013 წლის მარტიდან შეიქმნა ავტოტექმომსახურების ხარჯების აღრიცხვისა და კონტროლის სისტემა, რომლის გამოყენებით ხორციელდება ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, საგამოძიებო სამსახურის, სახაზინო სამსახურის ავტოტექმომსახურების ხარჯების აღრიცხვა და კონტროლი. ეს სისტემა ამარტივებს სამუშაო პროცესს, უფრო ადვილად ხდება შესრულებული სამუშაოს აქტების შედარება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასთა ცხრილთან, ორგანიზებულად აღრიცხულია მანქანები, მომსახურების ფასები, ხელშეკრულებები, სერვის-ცენტრები, შესრულებული სამუშაოები, სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების საგარანტიო მონაცემები, მანქანის ბარათი (მანქანაზე გაწეული მომსახურების ჩამონათვალი).

VIMS სისტემა არის ვებაპლიკაცია. ამჟამად, სისტემაში აღრიცხულია 327 ავტომანქანა.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

საქართველოს მიერ *„ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP)“*[43] ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად, მთავრობამ მიიღო დადგენილება #219 „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“[44]. ამ დადგენილებით საჯარო დაწესებულებებს დაეკისრათ საკუთარ ელექტრონულ რესურსზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება. ამ ვალდებულების შესასრულებლად, სამსახურის ვებ-გვერდზე შეიქმნა საჯარო ინფორმაციის გვერდი[45], სადაც 2013 წლის ნოემბერ-დეკემბერში გამოქვეყნდა საჯარო ინფორმაცია მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის მიხედვით. გათვალისწინებულია ინფორმაციის პერიოდულად განახლების მექანიზმები და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად, მოძველებული ინფორმაციის დაარქივების შესაძლებლობაც.

მსგავსი საჯარო ინფორმაციის გვერდები შეიქმნა და დაინერგა ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების ყველა საიტზე: www.mof.ge/publicinfo; www.fas.ge/publicinfo; www.treasury.ge/publicinfo; www.publicinfo.service.gov.ge; www.mofacademy.ge/publicinfo; www.is.ge/publicinfo.

eAuction - ელექტრონული აუქციონი[46]

განხორციელდა *სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს* კორპორატიული მართვის საინფორმაციო სისტემის ელ. აუქციონთან სატესტო რეჟიმში ინტეგრაცია, კერძოდ სააგენტოს მართვის საინფორმაციო სისტემაში შეყვანილი ინფორმაციის ლოტად განთავსება ელექტრონულ აუქციონზე.

შემუშავდა აუქციონების შედეგების დაგზავნის სერვისი მომსახურების სააგენტოს სისტემის მომხმარებლებისათვის და სხვა პარტნიორი ორგანიზაციებისათვის - *ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო*[47], *აღსრულების ეროვნული ბიურო*[48].

შესრულდა ოპტიმიზაციის სამუშაოები მონაცემთა ბაზის მხარეს, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მონაცემების გამოტანის სისწრაფე და შეამცირა სერვერების დატვირთვა.

---

[43] http://www.opengovpartnership.org/about
[44] 26.08.2013
[45] http://www.fas.ge/PublicInfo
[46] https://www.eauction.ge/ , http://www.fas.ge/Done
[47] http://economy.gov.ge/
[48] http://nbe.gov.ge/

უზრუნველყოფილია საიტის გამართული ფუნქციონირება ყველა ძირითად ბრაუზერში.

ელექტრონული აუქციონის პორტალი გაიყო ადმინისტრირების მოდულისა და მომხმარებლის მხარეებად. ამასთან დაკავშირებით, დაინერგა ავტორიზაციის უსაფრთხო მეთოდი - დიჯიპას-ავტორიზაცია. სერვისი მოიცავს სისტემაზე წვდომას ერთჯერადი კოდის გამოყენებით. ამავე სერვისის ფარგლებში, ავტორიზაცია ადმინისტრირების ნაწილში დაშვებულია პირადი ნომრის გამოყენებით.

ჯეოსელის მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისი შეიცვალა მაგთიკომის სერვისით. დასრულებულია სამუშაოები მოკლე ტექსტური შეტყობინებების დაგზავნის გვერდთან დაკავშირებით ფიზიკური და იურიდიული პირთათვის. შეტყობინებები იგზავნება როგორც ჯგუფებთან, ასევე ინდივიდუალურად.

ვებგვერდს დაემატა ბანერების ადმინისტრირების ფუნქციონალი. პორტალს დაემატა ასევე ვიპ-განცხადებების განთავსების შესაძლებლობა. სერვისი მოიცავს, მომსახურების გადახდას და შემდეგ მიმდინარე ლოტზე ამ ფუნქციონალის ჩართვას.

ჩამოყალიბდა საიტის უსაფრთხოების გაუმჯობესების ამოცანა. უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, გატარდა შესაბამისი ტექნიკური და ანალიტიკური სამუშაოები.

მოხდა ვებგვერდის დიზაინის ოპტიმიზაცია მობილური პლატფორმებისთვის. ფუნქციონალი იმყოფება სატესტო რეჟიმში. გრძელდება პორტალის დიზაინის ოპტიმიზაციის სამუშაოები, რაც მოიცავს მომხმარებლისთვის საიტის გამარტივებას, როგორც ფუნქციონალური ნაწილით, ასევე ვიზუალიზაციით.

ანგარიშგების ნაწილში სისტემას დაემატა შემდეგი ფუნქციები: (1) ლოტების ანგარიშის ამოღება ორგანიზაციების მიხედვით; (2) სტატისტიკური სახის ანგარიში აუქციონის პორტალის თანხობრივ ბრუნვაზე; (3) ჩანაწერი პორტალზე რეგისტრირებული მომხმარებლების რაოდენობის შესახებ; (4) გამოცხადებული აუქციონების რაოდენობა განმკარგავების მიხედვით; (5) შედეგით დასრულებული ლოტების რაოდენობა ორგანიზაციისა და თარიღის მიხედვით; (6) ლოტის გვერდის საბეჭდი ფორმა.

შეიქმნა საიტზე ვაჭრობის რიმაინდერი (შემახსენებელი).

საიტს დაემატა სიახლეების გვერდი, რომელიც მოიცავს სიახლეების ფილტრაციას თარიღების მიხედვით და სიახლეების დეტალურ დათვალიერებას.

საიტს ასევე დაემატა გვერდი - *„ჩვენს შესახებ“*[49], რომელიც შეიცავს ელექტრონული აუქციონის პორტალის შესახებ ძირითად ინფორმაციას. საიტის *„საკონტაქტო ინფორმაციის“* გვერდს[50] დაემატა

[49] http://service.gov.ge/about-us
[50] http://service.gov.ge/Contact

Google-რუკის მხარდაჭერა, სადაც მონიშნულია ფინანსთა სამინისტროს *მომსახურების სააგენტოს* ადგილმდებარეობა.

შეიქმნა არაელექტრონული მაღაზიების ნავაჭრების შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან მოკლე ტექსტური შეტყობინებების სახით დაგზავნის ფუნქციონალი.

ჩატარდა ტექნიკური სამუშაოები გადახდების ტიპების ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით.

დასრულდა *თიბისი ბანკთან*[51] ელექტრონული კომერციის ვებსერვისის აწყობა. სერვისი მოიცავს საბარათე ანგარიშებიდან შემდეგი ოპერაციების განხორციელებას: თანხის ბლოკირება, განბლოკვა, ჩამოჭრა. დაიწყო *თიბისი ბანკთან* ელექტრონული კომერციის ვებსერვისის აწყობა. სერვისი მოიცავს საბარათე ანგარიშებიდან ისეთი ოპერაციების განხორციელებას, როგორიცაა თანხის ბლოკირება, განბლოკვა, ჩამოჭრა.

დასრულდა *ლიბერთი ბანკის*[52] ელექტრონული საფულის (*eMoney*[53]) სერვისის ინტეგრაცია. ეს სერვისი მოიცავს eMoney სისტემის მომხმარებლების ავტორიზაციას ელექტრონულ აუქციონზე, აგრეთვე პირადი ბალანსის არსებობას და მის მართვას საიტზე, დამატებით თანხების ჩამოჭრის და გადარიცხვის ოპერაციების განხორციელებას აუქციონის შედეგების მიხედვით. დასრულდა და სატესტო გარემოში არის რეალიზებული *ლიბერთი ბანკის* ონლაინ-განვადების ვებსერვისი. სერვისი მოიცავს აუქციონის დარჩენილი ღირებულების გადახდის შესაძლებლობას ბანკის სესხის საშუალებით.

დასრულდა და სატესტო რეჟიმში არის გაშვებული *ქართუ-ბანკის*[54] ელექტრონული კომერციის ვებ-სერვისი (სერვისი მოიცავს საბარათე ანგარიშებიდან თანხის ბლოკირების, განბლოკვის და ჩამოჭრის ოპერაციებს).

ინფორმაციული უსაფრთხოება

ქსელის არქიტექტურის უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, დაკონფიგურირდა უსადენო ინტერნეტკავშირის ერთიანი, იზოლირებული არხი, რომელიც განკუთვნილია მობილური მოწყობილობებისა და სტუმრებისათვის. არხს წვდომა აქვს მხოლოდ ინტერნეტზე და ვერ შექმნის საფრთხეს ფინანსთა სამინისტროს IT სისტემებისთვის.

[51] http://www.tbcbank.ge/ge/private/
[52] http://libertybank.ge/
[53] https://web.emoney.ge/index.php/main/welcome
[54] http://www.cartubank.ge/

გარე ორგანიზაციების მომხმარებელთათვის შეიქმნა ახალი, იზოლირებული სერვერული გარემო (DMZ ზონა), რომელიც სრულად არის გამოყოფილი ფინანსთა სამინისტროს სერვერული ქსელისგან.

დაზუსტდა და შესაბამისად განისაზღვრა *შემოსავლების სამსახურის* პროგრამისტების წვდომა *შემოსავლების სამსახურის* ბაზებზე.

განხორციელდა დომენის აუთენტიფიკაციის მიბმა ინტერნეტ-წვდომაზე, რამაც შეუძლებელი გახადა არაავტორიზებული კომპიუტერების ინტერნეტში გასვლა.

დაინერგა ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის ძირითადი ნაწილი, რაც მოიცავდა Endpoint security, SIEM, Network Behavior Analysis, DLP essentials. მოხდა ყველა ამ სისტემის მართვის ინტეგრირება ერთიან კონსოლში ePO.

განხორციელდა მაღალი წარმადობის მონაცემთა შენახვის სისტემის წარმადობის ანალიზი და მოხდა წარმადობის გაუმჯობესების გზების დასახვა.

5. ადამიანური რესურსების განვითარება

მიმდინარე წელს საჯაროდ გამოცხადდა (საჯარო სამსახურის ბიუროს პორტალზე hr.gov.ge) **კონკურსი** 81 პოზიციაზე. შეიქმნა და წარმატებით დაიწყო ფუნქციონირება **საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ**, რომელმაც განიხილა პრეტედენტთა 3994 საკონკურსო აპლიკაცია, მათი განხილვის შედეგად გასაუბრებაზე (ან ტესტირებასა და გასაუბრებაზე) მოიწვია 326 კანდიდატი, საიდანაც ვაკანტურ თანამდებობებზე დაინიშნა შერჩეული 65 პროფესიონალი (აქედან 26 - ქალბატონია საშუალო ასაკით 30 წელი, ხოლო 39 - მამაკაცია საშუალო ასაკით 27 წელი). შტატგარეშე მოსამსახურედ დაინიშნა 11 პიროვნება (მამაკაცი - 7, ქალბატონი - 4).

სწავლება და კონსალტინგი

სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს 2013 წელს სამსახურმა ჩაუტარა შემდეგი **ტრენინგებისა და კონსულტაციების** ციკლი:

სასწავლო კურსები[55]:

- საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა eDocument - 1840 მომხმარებელი;
- სახელწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა eTreasury – 362 მომხმარებელი;
- სხვა სისტემები - 300 მომხმარებელი;
- სულ - 2502 მომხმარებელი.

[55] http://fas.ge/Training

კონსულტაციები[56]:

- საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა eDocument - 6499 მომხმარებელი;
- სახელწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა eTreasury – 8867 მომხმარებელი;
- სხვა სისტემები - 277 მომხმარებელი;
- სულ: 15643 მომხმარებელი.

2013 წელს ჩატარებული ტრენინგ-კურსები და სამუშაო შეხვედრები:

- ტრენინგ-კურსი „ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, დანერგვა და აუდიტი ორგანიზაციაში“
  პროვაიდერი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო
  თარიღი: 11.02.2013 – 15.02.2013
  თანამშრომელთა რაოდენობა: 8

- ტრენინგ-კურსი „პროექტის ფარგლებში თანამედროვე სისტემური ინსტრუმენტარის ეფექტური გამოყენება. პროგრამული კოდის მართვის, ტასკ-მენეჯმენტის, სხვა ყოველდღიური პროცედურების ავტომატიზაცია“
  პროვაიდერი: Microsoft
  კურსის დასახელება: „Visual Studio 2012 ALM: TFS Administration“
  თარიღი: 11.06.2013 – 13.06.2013
  თანამშრომელთა რაოდენობა: 13

- ტრენინგ-კურსი „პროექტის ფარგლებში თანამედროვე სისტემური ინსტრუმენტარის ეფექტური გამოყენება. ტესტირების პროცესის ავტომატიზაცია“
  პროვაიდერი: Microsoft
  კურსის დასახელება: „Visual Studio 2012 ALM: Testing Tools“
  თარიღი: 18.06.2013 – 20.06.2013
  თანამშრომელთა რაოდენობა: 16

- ტრენინგ-კურსი „ახალი პროგრამული ვებ-ტექნოლოგიის/დაპროგრამების კონცეფციის შესწავლა - ASP.NET MVC 4“
  პროვაიდერი: Microsoft
  კურსის დასახელება: „ASP.NET MVC 4 - 20486A“
  თარიღი: 24.06.2013 – 28.06.2013
  თანამშრომელთა რაოდენობა: 33

- ტრენინგ-კურსი „Microsoft Operations Framework – Change and Configuration Management“
  პროვაიდერი: Microsoft

[56] http://fas.ge/Consultation

თარიღი: 02.07.2013 – 04.07.2013
თანამშრომელთა რაოდენობა: 6

- ტრენინგ-კურსი „ახალი პროგრამული ვებ-ტექნოლოგიის/დაპროგრამების კონცეფციის შესწავლა - HTML 5“
  პროვაიდერი: Microsoft
  კურსის დასახელება: „Programming in HTML5 with JavaScript and CSS3 - 20480B“
  თარიღი: 08.07.2013 – 12.07.2013
  თანამშრომელთა რაოდენობა: 24

- ტრენინგ-კურსი: ფინანსთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის განხილვა
  ორგანიზატორი: ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი და სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია
  თარიღი: 06.09.2013 – 08.09.2013
  თანამშრომელთა რაოდენობა: 2

- ტრენინგ-კურსი „System Center Services Workshop – Systems Center Service Manager“
  პროვაიდერი: Microsoft
  თარიღი: 17.09.2013 – 20.09.2013
  თანამშრომელთა რაოდენობა: 6

2013 წელს ჩატარებული სხვა ტრენინგები:

- Change and Configuration Management within the Microsoft Operations Framework 4.0.
- Microsoft-ის ტრენინგი Implementing and Maintaining SQL Server 2008 Integration Services
- Microsoft-ის ტრენინგი Querying Microsoft SQL Server 2012;
- Microsoft-ის ტრენინგი SQL Server 2005/2008: Performance Tuning & Optimization
- Microsoft-ის ტრენინგი Designing and Managing a Windows Public Key Infrastructure
- ITIL v3 Foundations ტრენინგი IT სისტემების მენეჯმენტში; სამსახურის თანამშრომლების მიერ ჩაბარებულია ITIL-ის 20-ზე მეტი პერსონალური გამოცდა ამ დარგში, უმეტესობა Intermediate კატეგორიის (Transition, Foundation);
- პრეზენტაცია და წერა;
- პროექტის შემუშავება, მართვა და შეფასება;
- სტრატეგიული დაგეგმარება;
- ადამიანური რესურსების მართვა.

ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან ერთობლივად:

- შემუშავდა სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიისათვის სასწავლო კურსის შედგენისა და შეძენის სისტემა www.pay.mofacademy.ge;
- შემუშავდა სასწავლო კურსების ონლაინ-შედგენისა და შეძენის სისტემა, სადაც, რეგისტრაცია შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს;
- შემუშავდა ფინანსთა სამინისტროს აკადემიისა და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული კითხვარები - „კითხვარი შემსყიდველებისთვის“ და „კითხვარი მიმწოდებლებისთვის“ www.mofacademy.ge/Questionnaire;
- ფინანსთა სამინისტროს აკადემიისა და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში შემუშავდა ელექტრონული გამოკითხვის მოდული. კითხვარის საშუალებით გამოვლინდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ხარვეზები და მომხმარებელთა მოლოდინები;
- შემუშავდა ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის მოდული tna.mfg.ge.

6. ინფრასტრუქტურის განვითარება და მხარდაჭერა

ფინანსთა სამინისტროს **ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფისა და შემდგომი განვითარების** მიზნით, 2013 წელს განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- მაღალი წარმადობის მონაცემთა შენახვის სისტემის XP24000-ის დისკური მასივის გაძლიერება 96 ტერაბაიტამდე;
- *შემოსავლების სამსახურის* უსადენო ინტერნეტის მარშრუტიზატორების კონფიგურაცია და უსადენო ინტერნეტით უზრუნველყოფა;
- VMWare vCloud-ის დანერგვა და ტესტირების რეჟიმში გაშვება;
- ქსელის ტოპოლოგიის რუქის შექმნა საქართველოს მასშტაბით;
- განხორციელდა მონაცემთა შენახვის დაბალი წარმადობის სისტემის ინსტალაცია;
- განხორციელდა ელექტრონული ფოსტის და დომენური სისტემების დამოუკიდებელი ბლოკის აწყობა გარე ორგანიზაციების სერვისისთვის;
- 70 ტერაბაიტით გაიზარდა ვირტუალური ინფრასტრუქტურის მონაცემთა შენახვის სისტემების სიმძლავრე EMC VNX 5600 კლასის ახალი მოწყობილობის არქიტექტურაში ინტეგრაციის ხარჯზე.

აღსანიშნავია, რომ მონაცემთა შენახვის და სასერვერო ინფრასტრუქტურა პიკური დატვირთვების პერიოდში ყოველდღიურად 10 მილიონზე მეტ ტრანზაქციას ახორციელებდა.

ფინანსთა სამინისტროს **ICT-ინფრასტრუქტურის კომპლექსური მომსახურების** კუთხით ინტენსიურად საქმიანობდა სამსახურის ტექნიკური მხარდაჭერის (ინჟინერთა) ჯგუფი და „ცხელი ხაზის“ სტრუქტურული ქვედანაყოფი. მათი ოპერატიული რეაგირების და მაღალკვალიფიციური

ტექნიკური სერვისის ამსახველია ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკა - **„ცხელი ხაზის - 1551“**[57] **სერვისით ისარგებლეს:**

- კვალიფიციური სატელეფონო ან on-line კონსულტაცია გაეწია 15643 მომხმარებელს;
- განხორციელდა სამსახურის ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის წევრების 4202 გამოძახება.
- სულ 19845 მომართვა

7. საზოგადოებასთან ურთიერთობა

სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარების მიზნით, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- სამსახურის საქმიანობის საზოგადოებისთვის გასაცნობად მომზადდა და მასობრივი ინფორმაციის ელექტრონულ საშუალებებში (www.fas.ge; www.mof.ge; www.interpressnews.ge; www.pirveli.com.ge; www.geonews.ge; www.medianews.ge; www.ghn.ge) გავრცელდა პუბლიკაციები სამსახურის ორი პროდუქტის (საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის - eDocument; დონორთა კოორდინაციის ახალი ელექტრონული სისტემის - eAIMS[58]) შესახებ;
- გამოიცა და ფინანსთა სამინისტროს პერსონალს დაურიგდა საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) მომხმარებელთა სახელმძღვანელო, რიმელშიც ასახულია ცვლილებები და დამატებები;
- გამოიცა სამსახურის პოლიგრაფიული პროდუქტები: ორიგინალური კუბის ფორმით წარმოდგენილი პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების „სავიზიტო ბარათი“ და „გზამკვლევი კიბერსივრცეში“, რომლის დანიშნულებაა ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელთათვის სასარგებლო რჩევების მიწოდება კიბერუსაფრთხოების სფეროში;
- სამსახურის საქმიანობის ცნობადობის გაზრდისა და საზოგადოებაში მისი პოზიტიური იმიჯის ფორმირებისთვის, საინფორმაცი-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროფილის ჟურნალ „ნავიგატორი“-ს მეხუთე გამოცემაში გამოქვეყნდა საინფორმაციო-გასაცნობი პუბლიკაცია სამსახურის, მისი საქმიანობის, პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ;
- ჟურნალ „ნავიგატორი“-ს მეექვსე გამოცემის ინგლისურენოვან ჩანართში „ნავიგატორ International” ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა სტატია სამსახურის, მისი საქმიანობის, პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ;
- სამსახურის საქმიანობის უკეთ გაცნობის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სახაზინო სამსახურის პერსონალს დაურიგდა პოლიგრაფიული პროდუქტები და საინფორმაციო ბიულეტენი სამსახურის შესახებ;

[57] http://fas.ge/CallCenter
[58] eAIMS – Electronic Aid Information Management System

- მომზადდა და გამოიცა საინფორმაციო ტრიპლეტები (ქართულად და ინგლისურად) ორი ელექტრონული სისტემის - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემისა (eDocument) და ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის (eHRMS) შესახებ;
- მომზადდა და გამოიცა ბუკლეტი (ქართულად და ინგლისურად) სამსახურისა და მისი საქმიანობის შესახებ;
- სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.fas.ge) განახლდა ყველა სახის ინფორმაცია;
- სამსახურმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მე-6 რეგიონულ კონფერენცია/გამოფენაში GITI-2013[59], სადაც წარმოადგინა პრეზენტაციები ადამიანური რესურსების მართვის ავტოამტიზებული სისტემისა (eHRMS) და ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სერვისების შესახებ. ამას გარდა, სამსახურმა მონაწილეობა მიიღო საკონკურსო პროგრამაში;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინტერნეტბიულეტენში განთავსდა ინფორმაცია საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) შესახებ;
- გამოსაცემად მზადდება საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემისა (eDocument) და ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის (eHRMS) მომხმარებელთა სახელმძღვანელოების ახალი რედაქციები.

8. სამომავლო გეგმები

2013 წლის ბოლოს, სამსახურის მენეჯმენტმა შეიმუშავა მომავალი სამი წლის კომპლექსური განვითარების სტრატეგიული გეგმა. შესაბამისად, 2014 წლის საქმიანობის მთავარ პრიორიტეტად დაისახა ამ საშუალოვადიანი (2014-2016 წწ.) სამოქმედო გეგმით[60] გათვალისწინებულ ღონისძიებებზე და ახალ პროექტებზე მუშაობა. ბუნებრივია, მთავარ პრიორიტეტად რჩება საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) სრულყოფა და განვითარება.

2014 წელს ინტენსიურად გაგრძელდება სახელმწიფო ორგანიზაციებში PFMS-ის კიდევ ერთი კომპონენტის - ადამიანური რესურსების მართვის სისტემის eHRMS დანერგვა.

2014 წელსვე გაგრძელდება საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის eDocument დანერგვა *ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში*[61], *რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს* უწყებებში, სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციაში. აგრეთვე, განხორციელდება საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის eDocument-ის განახლებული ვერსიის ეტაპობრივი დანერგვა სისტემის მომხმარებელ ყველა ორგანიზაციაში.

[59] http://www.dea.gov.ge/uploads/Newsletters/NEWSLETTER_November%202013_GEO.pdf
[60] http://fas.ge/Strategy
[61] http://is.ge/

2014 წლის დასაწყისშივე დაგეგმილია დონორთა კოორდინაციის ახალი ელექტრონული სისტემის eAIMS დანერგვითი სამუშაოების გაგრძელება შესაბამის უწყებებში.

ახალ ინიციატივად ჩამოყალიბდა სამსახურის აქტიობის გავრცელება რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე, სამხარეო ადმინისტრაციებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში. ქვეყნის რეგიონებში იგეგმება ცენტრალურ ხელისუფლებაში უკვე კარგად აპრობირებული ელექტრონული სისტემებისა და სერვისების სამუშაო პრეზენტაციების გამართვა და დანერგვებთან დაკავშირებული სამუშაოები.

2014 წელს დაგეგმილია ბიზნეს პროცესების სრულყოფის მიზნით საერთაშორისო სტანდარტების პროცესების და ტექნიკური ინსტრუმენტების დანერგვა IT-მენეჯმენტის, ცვლილებების მენეჯმენტის, კონფიგურაციის მართვის, ინციდენტების და მოთხოვნების მენეჯმენტის კუთხით. დამატებით დაგეგმილია IT-სერვისების მიწოდების ფარგლებში ეფექტიანი მართვის მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა (აპრობირებული მეთოდების ბაზაზე) და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების ციკლის გაუმჯობესება.

უახლოეს წლებში განხორციელდება ქსელური ინფრასტრუქტურის გაძლიერება და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის ხარჯზე ძირითადი და სარეზერვო მონაცემთა ცენტრების „active-active“ ოპერირების რეჟიმზე გადასვლა. განხორციელდება ღრუბლოვანი ტექნოლოგიების (vCloud[62]) სამუშაო რეჟიმში გაშვება და გარე მომხმარებლებისთვის ღრუბლოვანი სერვისების (IaaS, SaaS, PaaS)[63] მიწოდება.

2014-2016 წლებში დაგეგმილია სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის აქტიური მონაწილეობა ელექტრონული მთავრობისა და ელექტრონული მმართველობის დარგში საქართველოში მიმდინარე ყველა რეფორმაში, ყველა ღონისძიებაში, ინოვაციური კომპონენტების, სისტემებისა და სერვისების შემდგომ განვითარებაში. ეს გეგმა გულისხმობს E-Government[64] და E-Governance[65] სფეროში ახალი პოლიტიკის, კონცეფციების, პროცედურების, კომპონენტების, ელექტრონული სერვისების განვითარებაში აქტიური მონაწილეობის მიღებას. სამსახურის მენეჯმენტი გეგმავს უზრუნველყოს ინტენსიური ჩართულობა ზოგადად ქვეყნის E-Development-ის ყველა სფეროში, როგორც პოლიტიკის, ინსტრუმენტების და პროცედურების შემუშავების მხრივ, ასევე უკვე შემუშავებული სტრატეგიის “A Digital Georgia: eGeorgia Strategy and Action Plan 2014-2018”[66] კონკრეტული აქტიობების განხორციელების კუთხით. მნიშვნელოვანია სამსახურის ჩართულობა

[62] vCloud - http://vcloud.vmware.com/about_services/description, http://en.wikipedia.org/wiki/VCloud
[63] IaaS – Infrastructure as a Service, http://www.interoute.com/what-iaas
PaaS – Platform as a Service, http://www.interoute.com/what-paas
SaaS – Software as a service, http://www.interoute.com/what-saas
[64] http://en.wikipedia.org/wiki/E-Government
[65] http://en.wikipedia.org/wiki/E-Governance
[66] http://www.dea.gov.ge/uploads/eGeorgia%20Strategy.pdf

კონკრეტული ელექტრონული სისტემების, ელექტრონული სერვისების, ინფრატსრუქტურის გამოყენების თუ სხვა ტექნიკური გადაწყვეტილებების შექმნისა და დანერგვის მხრივაც.

2014 წელს გაგრძელდება საქართველოს მთავრობის დადგენილების[67] თანახმად, სამსახურის საჯარო ინფორმაციის ახალი ვებგვერდის[68] პერიოდული შევსება-განახლება; პროაქტიურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შეგროვება, ფორმალიზება, კომპილირება, განთავსება. დამატებით, ოფიციალურ ვებგვერდებზე საჯარო ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად სამსახური მზადაა გადასცეს ყველა უწყებას ამ მიზნით სპეციალურად შექმნილი პროგრამული მოდული. დაგეგმილია აგრეთვე ამ სფეროში სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის კონსალტინგური დახმარების გაწევაც.

საზოგადოებასთან ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით, 2014 წელს დაგეგმილია შესაბამისი კვლევების ჩატარება, ასევე გაგრძელდება პოლიგრაფიული პროდუქციის დამზადება და გავრცელება, სპეციალიზებულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნება, საერთაშორისო გამოფენებში, სემინარებში, ტრენინგებში და კონფერენციებში, სასწავლო ტურებში მონაწილეობის აქტიური მიღება.

[67] ს ა ქ .მ თ ა ვ რ ობ ი ს და დ გ ე ნ ი ლ უ ბ ა #219 „ს ა ჯ ა რ ო ი ნ ფ ორ მ ა ც ი ი ს ე ლ ე ქ ტ რ ონ ულ ი ფ ორ მ ი თ მ ოთ ხ ოვ ნ ი ს ა და პ რ ოა ქ ტ ი ურ ა დ გ ა მ ოქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ “, 26.08.2013
[68] http://www.fas.ge/PublicInfo